საიდ. №72336/03

IR 1157976

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №115-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ლ. კერესელიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „გრუპო ბიმბო, ს.ა.ბ. დე ს.ვ.” (GRUPO BIMBO, S.A.B. DE C.V.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №115-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 აპრილის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №778/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „TAKIS” (საიდ. №72336/03 IR 1157976) დაცვის მინიჭება საქართველოში 29-ე და 30-ე კლასის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: კლასი 29 – „კარტოფილის ბურბუშელა (potato chips)“; კლასი 30 – „შემწვარი მარცვლეულის მსუბუქი

საუზმეული და შემწვარი ხორბლის მსუბუქი საუზმეული, დაპრესილი მარცვლეულის მსუბუქი საუზმეული, მარცვლეულის ბურბუშელა, ტაკოს ბურბუშელა, ტორტილიას ბურბუშელა“ (fried corn snacks and fried wheat snacks, extruded corn snacks, corn chips, taco chips, tortilla chips (29-ე და 30-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 აპრილის №778/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "TAKIS" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია მადრიდის შეთნხმების ოქმით კომპანიის „ბელა ბულგარია ად“ ("BELLA BULGARIA AD") სახელზე 29-ე და 30-ე კლასების მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული ნიშნისა „LakiS“ (IR 899657, თარიღი:10.08.2006). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით და აქვთ მსგავსი ჟღერადობა. ვიზუალური და ფონეტიკური მსგავსება ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „გრუპო ბიმბო, ს.ა.ბ. დე ს.ვ.” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი განსხვავდება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისაგან ვიზუალურად და ჟღერადობით და ეს განსხვავება სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ არ

მოხდეს მომხმარებლის მხრიდან ამ ორი სასაქონლო ნიშნით მონიშნული საქონლის მწარმოებელთა ერთმანეთში აღრევა. განცხადებული სასაქონლო ნიშანი, ჩაწერილია ასომთავრული ლათინური შრიფტით, მაშინ როცა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, გარდა პირველი და ბოლო ასო-ბგერისა ”L” და S”, ჩაწერილია პატარა ასოებით. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი მსუბუქად სტილიზებულია და ქვემოთ დაფენილი აქვს სამი თავთავი. აპელანტის მითითებით, სააპელაციო საჩივარს თან ერთვის დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის მფლობელის BELLA BULGARIA AD (ბელლა ბულგარია ად), მისამართი 9, “MomchilVoivoda” Str., BG-4000 Plovdiv (BG) (9, “მომჩილვოივოდა” სტრ., BG-4000 პლოვდივი (BG)) თანხმობის წერილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის “TAKIS” IR 1157976 საქართველოში დაცვასა და გამოყენებაზე 29-ე და 30-ე კლასების შემდეგი საქონლის ჩამონათვალისათვის: კლასი 29 – „კარტოფილის ბურბუშელა (potato chips)“; კლასი 30 – „შემწვარი მარცვლეულის მსუბუქი საუზმეული და შემწვარი ხორბლის მსუბუქი საუზმეული, დაპრესილი მარცვლეულის მსუბუქი საუზმეული, მარცვლეულის ბურბუშელა, ტაკოს ბურბუშელა, ტორტილიას ბურბუშელა“ (fried corn snacks and fried wheat snacks, extruded corn snacks, corn chips, taco chips, tortilla chips). აპელანტის პოზიციით, იგი თანახმაა შეზღუდოს განცხადებული საქონლის ჩამონათვალი და მოხდეს მისი კუთვნილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის “TAKIS” IR 1157976 დაცვა საქართველოში 29-ე და 30-ე კლასების შემდეგი საქონლის ჩამონათვალისათვის: კლასი 29 – „კარტოფილის ბურბუშელა“ (potato chips); კლასი 30 – „შემწვარი მარცვლეულის მსუბუქი საუზმეული და შემწვარი ხორბლის მსუბუქი საუზმეული, დაპრესილი მარცვლეულის მსუბუქი საუზმეული, მარცვლეულის ბურბუშელა, ტაკოს ბურბუშელა, ტორტილიას ბურბუშელა“ (fried corn snacks and fried wheat snacks, extruded corn snacks, corn chips, taco chips, tortilla chips), ანუ მხოლოდ თანხმობის წერილში მითითებული

საქონლის ჩამონათვალისათვის. აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნები უმტკივნეულოდ თანაარსებობენ ევროკავშირის ქვეყნებში და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, რაც კარგად ჩანს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების ინტერნეტბაზის "ROMARIN" მონაცემებიდან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 აპრილის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №778/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „TAKIS" (საიდ. №72336/03 IR 1157976) დაცვის მინიჭებას საქართველოში 29-ე და 30-ე კლასის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: კლასი 29 – „კარტოფილის ბურბუშელა (potato chips)"; კლასი 30 – „შემწვარი მარცვლეულის მსუბუქი საუზმეული და შემწვარი ხორბლის მსუბუქი საუზმეული, დაპრესილი მარცვლეულის მსუბუქი საუზმეული, მარცვლეულის ბურბუშელა, ტაკოს ბურბუშელა, ტორტილიას ბურბუშელა" (fried corn snacks and fried wheat snacks, extruded corn snacks, corn chips, taco chips, tortilla chips).

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგიას მიაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებულ ნიშნებს შორის არსებობს გარკვეული ვიზუალური განსხვავება, კერძოდ ის, რომ

განცხადებული ნიშანი წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი კომბინირებულია და გარდა სიტყვიერი ელემენტისა, შეიცავს გამოსახულებით ელემენტს, ნიშნებში არსებული სიტყვიერი ელემენტების ,,TAKIS“ და ,,Lakis“ მსგავსების გამო, 29-ე და 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვლის მიმართ, არსებობს აღრევის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, კოლეგიამ იმსჯელა და მიიჩნია, რომ დაპირისპირებულ ნიშნებს შორის არსებული გარკვეული ვიზუალური განსხვავების პირობებში, განცხადებული ნიშნის საქონლის შემდეგი სახით შეზღუდვის შემთხვევაში: 29-ე კლასი: ,,Potato Chips” (კარტოფილის ჩიპსები), 30-ე კლასი: ,,Fried corn snacks, wheat flour snacks, extruded corn snacks, corn chips, taco chips, tortilla chips” (შემწვარი სიმინდის მსუბუქი საუზმეული, ხორბლის ფქვილის მსუბუქი საუზმეული, დაფქვილი სიმინდის მსუბუქი საუზმეული, სიმინდის ჩიფსები, ტაკოს ჩიფსები, ტორტიას ჩიფსები) აღარ იარსებებს აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანიის ,,ბელა ბულგარია ად“-ს მიერ გაცემულია თანხმობის წერილი, რომლის თანახმად, იგი არ არის წინააღმდეგი საქართველოში დარეგისტრირდეს კომპანია ,,გრუპო ბიმბო, ს.ა.ბ. დე ს.ვ.“ მიერ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „TAKIS” საქონლის შემდეგი ჩამონათვალისათვის: კლასი 29 – „კარტოფილის ბურბუშელა (potato chips)“; კლასი 30 – „შემწვარი მარცვლეულის მსუბუქი საუზმეული და შემწვარი ხორბლის მსუბუქი საუზმეული, დაპრესილი მარცვლეულის მსუბუქი საუზმეული, მარცვლეულის ბურბუშელა, ტაკოს ბურბუშელა, ტორტილიას ბურბუშელა“ (fried corn snacks and fried wheat snacks, extruded corn snacks, corn chips, taco chips, tortilla chips).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ საქონლის ზემოაღნიშნული სახით შეზღუდვის პირობებში აღარ იარსებებს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული

საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „TAKIS" (საიდ. №72336/03 IR 1157976) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „გრუპო ბიმბო, ს.ა.ბ. დე ს.ვ." („GRUPO BIMBO, S.A.B. DE C.V.") სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 აპრილის №778/03 ბრძანება.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „TAKIS" (საიდ. №72336/03 IR 1157976) მიენიჭოს დაცვა საქართველოში 29-ე და 30-ე კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვლის მიმართ: კლასი 29 – „კარტოფილის ბურბუშელა (potato chips)"; კლასი 30 – „შემწვარი მარცვლეულის მსუბუქი საუზმეული და შემწვარი ხორბლის მსუბუქი საუზმეული, დაპრესილი მარცვლეულის მსუბუქი საუზმეული, მარცვლეულის ბურბუშელა, ტაკოს ბურბუშელა, ტორტილიას ბურბუშელა" (fried corn snacks and fried wheat snacks, extruded corn snacks, corn chips, taco chips, tortilla chips).

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	მ. ფრუიძე
წევრები:	ლ. კერესელიძე
	ქ. კილაძე